86 წელი თქვენთან ერთად!

86 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 87-ე წელი.

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №5 {7010} 2 მარტი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

ქალთა დიდებისა ვთქვათ...

მინიატურა

სურდა თუ არ სურდა, ეს ზამთარიც დასრულდა. მარტმა მაცდურად გაგვიღიმა და მოგვეხალისა. საფიქრალიც გაგვიჩინა დღეისა და ხვალისა. ია-ია-აც გამოჩნდა, მზერაც შემოგვაპარა, ფურუსულაც მოსულა, ყოჩივარდაც აპა, რა!..

აგერ, სამი მარტი,
ჯერაც გაუშლელი ვარდი,
დედობის დღე, დედის დარდი...
რვა მარტიც კარზეა,
საუბარი რაზეა,
გაზაფხული ზეიმობს
დედა, რა ლამაზია!..

ქალთა დიდებისა ვთქვათ. მადლი დავლოცოთ დედობისა. იყოს ზეობა მათი. უნარი ჭირთა თმენისა. ვუსურვოთ შვილთა მრავლობა და ბედნიერი შთამომავლობა, ბევრი ვახტანგი ეშვათ, დავითი, გიორგი, ვაჟა, სალომე, მარიამი, თამარი, დედის იმედი აჩუქონ დედასამშობლოს...

ქალი მარტო სიცოცხლის საწყისი როდია—ის სიცოცხლის გამგრძელებელიცაა. ვადიდოთ ქართვლის დედა!

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალს არ ჰქვია დედისიმედი. ეს ქართული სახელია მრავლისმთქმელი და მეტყველი.

საქართველოში ქალის კულტი განსხვავებულია.

ქალის კდემამოსილება ზეაღმართულ ხმალს ქარქაშში ჩააგებინებს მტარვალს, ასე უთქვამთ და ასეც არის!

„ხალხთან ახლოს, ხალხის სამსახურში“...

სამადლობელი სიტყვით დაიწყო 17 თებერვლის გაფართოებული თათბირი მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ბონდო სოფრომაძემ—საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსს თამარ არჯევანიძეს და რუფოთის საექიმო ამბულატორიის ექიმს ნინო ამაშუკელს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ მადლობის სიგელების და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა მიულოცა (დაწვრილებით „სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი“ გვ.2). ☞2

აღინიშნა ოკუპაციის დღე

25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღეა. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი აიღო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია განახორციელა.

ამ დღეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო დროშები ეშვება.

დროშები დაეშვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციულ შენობებზე, გმირთა მემორიალთან.

ქალაქ თერჯოლაში, გმირთა მემორიალთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი მეუფე გიორგი შალამბერიძემ და მამა იოანემ გადაიხადეს.

მემორიალი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ჯანელიძემ, მერის პირველმა მოადგილემ მანუჩარ ფანჩულიძემ, საკრებულოს დეპუტატებთან და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად გვირგვინით შეამკეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

☞2

კორონავირუსი გლობალური საფრთხე!

კორონავირუსი საქართველოშიც შემოვიდა!

☞2,3

კორონავირუსი საქართველოშიც შემოვიდა!

1☜ **მას შემდეგ, რაც საქართველოში კორონავირუს COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევები დაფიქსირდა, ხელისუფლებამ პრევენციული ზომების გააქტიურება დაიწყო.**

ამ დღეებში, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ რეგიონში, COVID-19-თან დაკავშირებით საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე იმერეთის რეგიონში ამ კუთხით არსებული ვითარება და პრევენციული ზომები განიხილეს. შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე.

როგორც ცნობილია, რეგიონში არსებობს საკარანტინო სივრცეები და არსებული სიტუაციის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება კოორდინირებულად ხდება.

სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ყველა უწყების წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა გოჩა გიორგიძემ შეხვედრაზე როგორც რეგიონის მასშტაბით, ასევე საკარანტინო ზონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.

საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის წევრებმა დღევანდელ შეხვედრაზე კონკრეტული დავალებები მიიღეს, მათ შორის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად რეგიონის მასშტაბით სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

სპეცეპიდზედამხედველობის და დეზინფექციის სამსახურის უფროსის რუსუდან ხაჭაპურიძის განცხადებით, სადეზინფექციო სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდება და ყველა აუცილებელ ლოკაციას მოიცავს.

ამასთან, შეხვედრაზე გაცხადდა, რომ სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იმერეთის რეგიონში გაუქმდება 3 და 8 მარტს დაგეგმილი ხალხმრავალი ღონისძიებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

☞3

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უკვე ამოქმედებულია საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფები მხარის რწმუნებულების ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფებს კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი უწევენ.

„ხალხთან ახლოს, ხალხის სამსახურში“...

1☜

მერე თანდათან გაამკაცრა საუბრის ტონი და უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ მოსახლეობაში გარკვეული გულწყვეტაა ისეთი საკითხების მიმართაც კი, რომელთა მოგვარება შესაძლებელი იყო.

„მე წარმოვადგენ ცენტრალური ხელისუფლების სახეს მუნიციპალიტეტში, თქვენ, ჩემი წარმომადგენელები სოფლებში—ჩემს სახეს; ვერ შევეგუები უწესრიგობას, ღალატს, საქმისადმი არასაიმედო, ნეგატიურ განწყობას; სანამ ერთად ვართ, ერთად უნდა ვიყოთ, საქმე ერთგულად და სიყვარულით ვაკეთოთ; შეისწავლეთ მოსახლეობის მატერიალურ -საყოფაცხოვრებო პირობები, არის იმის შესაძლებლობა, რომ დავეხმაროთ იმათ, ვისაც ნამდვილად ჭირდება; ყველაფერს ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ ნაწილობრივ ხომ მაინც შევუმსუბუქებთ ტვირთს“— განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

***

თათბირზე მოკლე ინფორმაციით გამოვიდნენ სოფლებში მერის წარმომადგენლები. მათ დასვეს საქმიანი წინადადებები, ითხოვეს დახმარება ზოგიერთ მოსაგვარებელ საკითხთა გამო, რომელთა ერთ ნაწილს რეაგირება იქვე მოჰყვა, ნაწილზე დავალებები მიეცა შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს, მერის მოადგილეებს, მათვე დაევალათ მეტი კონტროლის დაწესება თანამშრომლებზე. იყო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა, როგორც მერმა თქვა „ერთად გავლას“ ითხოვდა. მისივე თქმით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შესასრულებლად სამუშაოები მალე დაიწყება.

„მთლიანად განახლდება თერჯოლა“...

დაგეგმილია მრავალი ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება: მუნიციპალიტეტის ცენტრის კეთილმოწყობა, იუსტიციის სახლისა და ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა, თერჯოლა-ტყიბულის გზის რეაბილიტაცია და სხვა... ითქვა ისიც, რომ სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად თანხები ყველა სოფელში გამოიყოფა, მანამდე კი შეიძლება ზოგიერთი ოჯახის ქირით გაყვანა.

ყურადღება გამახვილდა ახალი სასაფლაოების მოსაწყობად მიწების მოძიების, რამდენიმე საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის, წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ითქვა კვახჭირში ე.წ. ფეროს მეორე ქარხნის მშენებლობაზე და იმაზედაც, რამდენად წაადგება იგი მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას. მიღებულ იქნება საჭირო ზომები, რათა განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი გახდეს ენერგომომარაგება, ბოძების და ელექტროგადამცემი ხაზების შეცვლის საკითხი.

***

მიმდინარე და მომავალ წლებში დიდი თანხები დაიხარჯება ქვეყნის და მუნიციპალიტეტის ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. მარტის შუა რიცხვებიდან მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ხალხს შეხვდება სამინისტროების და გუბერნიების პასუხისმგებელი მუშაკები. ეს შეხვედრები მიეძღვნება მუნიციპალიტეტის, თითოეული სოფლის, თითოეული ადამიანის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლას.

„სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი“

...იმერეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტის მერი იყო მიწვეული ქ. ქუთაისში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე—„იმერეთი თავისუფალი C ჰეპატიტისაგან“. შეჯამდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელებისა და სოფლის საექიმო ამბულატორიების ექიმების მიერ ამ კუთხით გაწეული მუშაობა.

კონფერენციაზე აღინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის თამილა არჯევანიძის და რუფოთის საექიმო ამბულატორიის ექიმის ნინო ამაშუკელის გაწეული საქმიანობა ამ კუთხით.

2019 წელს თერჯოლაში C ჰეპატიტზე გამოკვლეული იქნა 7103 ადამიანი, ნაცვლად 6857-ისა. ამავე პროგრამის ფარგლებში კვლევა ჩატარდა აივ/ინფექცია შიდსზე და ტუბერკულოზზე. C ჰეპატიტზე გამოვლინდა 78 დადებითი შემთხვევა, შემდგომი კვლევისა და მკურნალობისათვის ისინი გადასამიმართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თებერვალშიც აქტიურად განახორციელა საკუთარი უფლებამოსილება.

გასულ თვეს ჩატარდა ბიუროსა და საკრებულოს მორიგი სხდომა, გაიმართა აპარატის თანამშრომლებთან თათბირი და კომისიებისა და ფრაქციების სხდომები.

მორიგ სხდომაზე მხარი დავუჭირეთ საბიუჯეტო ცვლილებებს, რაც გამოწვეულია მთავრობის განკარგულებით და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებით. 2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 2612.5 ათასი ლარით და შეადგენს 19188.5 ათას ლარს.

გარდა ამისა, მხარი დავუჭირეთ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2020 წლის პროგრამაში შესატან ცვლილებას, რაც გულისხმობს არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

ჩავერთეთ „ქალთა საინფორმაციო ცენტრის - Women's Information Center" ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც სოფელ ზედა საზანოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა და მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხებზე.

საკრებულოს დეპუტატებთან და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინით შევამკეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი.

ჩემი ინიციატივითა და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის აქტიური ჩართულობით, თერჯოლაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მობილური ჯგუფი, მიხეილ აბაშვილისა და გრიგოლ ბაქრაძის შემადგენლობით ჩამოვიდა, მოხდა დამისამართების საკითხის ადგილზე შესწავლა, რის შემდეგაც განხორციელდება გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობისა და არსებული მისამართების იდენტიფიცირება.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის თემებზე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს საზოგადოებრივ ცენტრში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის - Women's Information Center" ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

შეხვედრაში, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მუ-

ნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე, ნინო ჯანელიძე, საბჭოს წევრები, მასწავლებლები, ბაღის აღმზრდელები, დიასახლისები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია გენდერული როლებისა და სტერეოტიპების, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ადგილობრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. ასევე, ისაუბრეს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებზე.

ღონისძიება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა.

ორმხრივ სასარგებლო შეხვედრა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, იმედა რობაქიძის ხელმძღვანელობით, გაფართოებული შეხვედრა გაიმართა კომისიის წევრებსა და მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის, ასევე, სოფლებში მერის წარმომადგენლებს შორის.

კომისიის მიზანია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების განხილვა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანალიზის საფუძველზე, ისეთი წესის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების ხარისხიან შესრულებას.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

კომისიის გეგმიური შეხვედრები სახელმწიფო აუდიტის შესაბამისობის ანგარიშთან დაკავშირებით სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან ეტაპობრივად გაგრძელდება.

თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები მალე დაიწყება

„თერჯოლის“ მკითხველი ინფორმირებულია საკმაოდ მოცულობით იმ ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რასაც ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები ჰქვია. პროექტი 2020-2021 წლებზეა გათვლილი და მისი სრული განხორციელებისათვის 2 მლნ. ლარამდე დაიხარჯება.



ამ ორწლიანი პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლისათვის განსახორციელებელ სამუშაოებზე, ტენდერი უკვე ჩატარდა ქ. თერჯოლის რუსთაველის ქუჩის ერთი მონაკვეთის **(დ. კლდიაშვილის მემორიალი—ავტოგასამართი სადგური)** ორივე მხარეზე განთავსებული მოსახლეობის ეზოებისათვის ბეტონის ღობეების მოსაწყობად. მარტის პირველ დეკადაში კი დასრულდება ტენდერები, რომლებიც გამოცხადებულია ქალაქის მთავარი ქუჩის სხვადასხვა მონაკვეთის მიმდებარედ განთავსებული გმირთა მემორიალის, დავით კლდიაშვილის მემორიალური კომპლექსის და კიდევ 2 სკვერის რეაბილიტაცია—კეთილმოწყობისათვის.

რაც შეეხება დანარჩენ სამუშაოებს, კერძოდ კი ქალაქის მთავარი მაგისტრალის გასწვრივ ტროტუარების მოწყობა-რეაბილიტაციას, საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგებას და სხვა, მათი განხორციელება მოხდება შემდეგ ეტაპზე.

ჩვენი გაზეთი დაინტერესდა ერთ-ერთი ობიექტის—დავით კლდიაშვილის მემორიალის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციით, რაზედაც აქვე გვექნება საუბარი.

პროექტის განმარტებით ბარათში, რომელიც მრავალგვერდიანია, დაწვრილებითაა აღწერილი შესასრულებელი სამუშაოები. პოექტის ავტორის **(ირაკლი თავაძე)** განმარტებით, მისთვის სკვერის განვითარების ძირითად ხედვას წარმოადგენდა, რომ პროექტი რაც შეიძლება მორგებული ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებზე და შეექმნა მოსასვენებელი სივრცე.

პროექტით შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალში შესულია არსებულ ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონისა და სხვა კონსტრუქციების, ბორდიურების, ფეხსამავლო ფილების თუ სხვა მწყობრიდან გამოსული უვარგისი ნაკეთობების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა, შემდეგ კი გამწვანება, გაზონების მოწყობა, დეკორატიული ფილების და ბავშვებისათვის სათამაშოდ განკუთვნილ ტერიტორიაზე კაუჩუკის საფარის დაგება. მემორიალთან ასევე გაკეთდება პარკინგი, სკვერში დამონტაჟდება საპარკე ავეჯი: საკამები, სანაგვე ურნები, საბავშვო-სათამაშო მოწყობილობები, ასევე მოეწყობა დასასვენებელი სივრცეები, მაგ. საქანელა სკამები, ფანჩატური, ფანტანი. მთლიანად შეიცვლება და თანამედროვედ მოეწყობა ელექტროგანათება. ინდივიდუალურად განათდება სკვერში განთავსებული დავით კლდიაშვილის ძეგლი და სხვა ქანდაკებები.

***

კეთილი და პატიოსანი. ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, რომ თერჯოლისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი განსაკუთრებით ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურებოდეს, მაგრამ არ უნდა გამოგვივიდეს ისე, რომ მემორიალის ერთიანი ხედვის და აღქმის არეალში არ მოხვდნენ მემორიალის უპირველესი ბინადრები—დიდი სახალხო მწერალი და მისი პერსონაჟები.



არც იმას გამოვრიცხავთ, რომ პირიქითაც მოხდეს—ზუსტად პროექტით გაკეთებულმა აჯობოს. ასეთი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გვიჩნდება, როცა ამ პროექტის რენდერებს ვაკვირდებით. როგორც ჩანს, სამუშაოების შესრულებისას, პროექტში რაღაც ცვლილებების შეტანა შეიძლება აუცილებელი გახდეს, რაც იმის გათვალისწინებით და ისე უნდა მოხდეს, მემორიალის თავდაპირველი ერთიანი ხედვის და აღქმის იდეა რომ არ დაიკარგოს.

დ. კლდიაშვილი

კორონავირუსი საქართველოშიც შემოვიდა!

26 თებერვალს საქართველოში ახალი ტიპის კორონავირუს COV19-ით დაინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. იგი ლუგარის ლაბორატორიამ საქართველოს იმ ერთ-ერთ მოქალაქეს დაუდგინა, რომელიც აზერბაიჯანის გავლით ირანიდან სახმელეთო გზით შემოდიოდა საქართველოში. დაავადებული იზოლირებულია თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც გადის შესაბამის მკურნალობას.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმ დღესვე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ოპერატიულად გაიმართა სამუშაო შეხვედრა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან. მკითხველს ვაცნობებთ, რომ ისე როგორც ჩინეთთან, ამჯერად ირანთანაც დროებით დაიხურა საჰაერო მიმოსვლა.

26 თებერვალსვე საგანგებო ბრიფინგი გამართეს ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ.

ვიდრე, ჩვენი გაზეთის ეს ნომერი ბეჭდვაში ჩავიდოდა, ანუ 2 მარტისათვის საქართველოში კორონა ვირუსის კიდევ 2 შემთხვევა დაფიქსირდა.

ახალი კორონავირუსით (COV19), რომელმაც ასე შეაშფოთა სამყარო, დაავადებულთა რაოდენობამ მსოფლიოში, 1 მარტისათვის 90 ათასამდე ადამიანმა შეადგინა. ვირუსით ამ დროისათვის ... დაღუპული იყო 3 ათასამდე ადამიანი. გამოიკვეთა დადებით ტენდენცია, მედიკოსებმა უკვე განკურნეს 43 ათასი დაავადებული.

ვირუსის ტიპი, რომლის აფეთქებაც ჩინეთის ქალაქ უხანში მოხდა, ექიმებისთვის კარგად ცნობილია. ის ე.წ. კორონავირუსების ოჯახს მიეკუთვნება, რომლებმაც ადრე რამდენიმე დაავადება გამოიწვიეს, მაგალითად, მწვავე რესპირატორული სინდრომი Sars-ი 2003 წელს, ასევე შუა აღმოსავლეთის რესპირატორული სიმპტომი Mers-ი 2012 წელს.

პირველი ვირუსის დროს ინფიცირებულების 9% დაილუპა, ხოლო მეორე ეპიდემიის დროს - 35%.

საიდან ჩნდება საშიში კორონავირუსები? კორონავირუსი ეს ვირუსების დიდი „ოჯახია“, რომელთა „წევრებიც“ ადამიანში სხვადასხვა დაავადებებს იწვევენ—ფართოდ გავრცელებული გრიპიდან, მწვავე რესპირატორულ სინდრომამდე და ასევე საჭმლის მომნელებელი სისტემის ტრაქტის ანთებამდე.

კორონავირუსები ვიზუალურად სფერული მიკრობებია, რომლებიც შეიცავენ ერთჯაჭვიან მოლეკულას (რიბონუკლეინის მჟავა). მათ პატარა ბუსუსები აქვთ, რომელიც მზის დაბნელების დროს შექმნილ „გვირგვინს“ (COV19) ჰგავს, აქედან მოდის სახელიც - კორონავირუსი.

დღეს კორონავირუსის „ოჯახი“ 30-ზე მეტ სახეობას შეიცავს და ის მუდმივად იმატებს. ადამიანებში მწვავე რესპირატორულ ინფექციას ოთხი ტიპის კორონავირუსი 229E, OC43, NL63, HKUI იწვევს.

XX საუკუნეში კორონავირუსები როგორც ადამიანებში და ცხოველებში მწვავე რესპირატორული დაავადებების გამომწვევებად იყო ცნობილი, თუმცა საშიში ვირუსული ინფექციების სიაში არ შედიოდნენ. ამჟამად კორონავირუსების ოჯახში არსებობს უკვე სამი ტიპის ვირუსი, რომლებიც ადამიანში იწვევს მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, ესენია - Sars, Mers და 2019-nCoV.

კორონავირუსების, Sars, Mers და COV19-ის მატარებლები არ ყოფილან ადამიანები, არამედ ცხოველები. ისინი ადამიანისთვის ბევრი საშიში დაავადების მატარებლები არიან, თუმცა პირდაპირ ცხოველიდან ადამიანზე დაავადების გადაცემის შემთხვევები საბედნიეროდ ცოტაა.

კორონავირუსი Sars-ს 2003 წელს მსოფლიოს 33 ქვეყანაში დაფიქსირდა (ყველაზე მეტი დაავადებული ჩინეთში, სინგაპურში და კანადაში იყო).

2012 წელს, ახლო აღმოსავლეში ახალი ინფექცია დააფიქსირეს, რომელიც კორონავირუსმა MERS-მა გამოიწვია. მაშინ მიიჩნიეს, რომ ვირუსი აქლემებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად გავრცელდა ადამიანზე. საშიშროება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ვირუსის უჩვეულო მუტაციასთან. როგორც წესი, ვირუსი გარკვეულ წილად უნდა შეიცვალოს, იმისათვის, რომ მას ცხოვრების და გამრავლების შანსი მიეცეს მისთვის უჩვეულო გარემოში.

აღსანიშნავია, რომ ყველა კორონავირუსი საშიში არ არის. ადამიანი ფაქტობრივად მუდმივად ეჯახება მის სხვადასხვა გამოვლინებებს, მაგრამ საშიშია ის, რომელიც ერთი სახეობიდან, მეორეს გადაეცემა.

საქმე ისაა, რომ როდესაც ვირუსი მოულოდნელად გადადის ცხოველიდან ადამიანზე, ადამიანის იმუნური სისტემა ამ კონკრეტულ ვირუსთან საბრძოლველად მზად არ არის, რადგან მანამდე მას არასდროს დაჯახებია.

რა გავაკეთოთ ვირუსის გავრცელების შემთხვევაში?

ცუდი ინფორმაცია მდგომარეობს იმაში, რომ ვირუსის გავრცელება ყოველთვის წამლების მიღებით არ ჩერდება. ეფექტური ანტივირუსული პრეპარატები ცოტაა, თუმცა არსებობს ვირუსისგან თავის დაცვის სავსებით ეფექტური მეთოდი - ხელის ხშირად დაბანა და ხალხმრავალ ადგილებში სამედიცინო ნიღბის ტარება.

საბედნიეროდ, კორონავირუსების Sars-ის და Mers-ის აფეთქების შემდეგ, საერთაშორისო დონის მექანიზმები შემუშავდა, იმისათვის, რომ დაავადება მასშტაბურად არ გავრცელდეს.

ექიმები იმედოვნებენ, რომ წინა კორონავირუსებისგან მიღებული გამოცდილებით, წლევანდელი „აფეთქება“ უფრო ნაკლებად საშიში იქნება.

გაზაფხულიც მოვიდა...

დღეები დღეებს მისდევს, თითქოს გუშინ იყო, ახალი წელი რომ ვიზეიმეთ და აი, თებერვალმაც გაიხურა კარი. გაზაფხულიც მოვიდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა ამთავითვე საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მოვემზადოთ. რკინა-კავეული გავლესოთ, მანქანა-ტრაქტორები გავმართოთ, წლის მოსავალს რიგიანი საფუძველი ჩავუყაროთ. მიწის მეთარგე კაცი ცხადია, ასეც მოიქცევა და ღვთის მადლის შეწევნაც თუ იქნა, შედეგსაც სასურველს მიიღებს.

რა გვაქვს მხედველობაში? ის, რომ სარწყავ-საირიგაციო სისტემები ყველგან არ გვაქვს და ალბათ კარგა ხანს არ გვექნება, ჯერჯერობით ისევ მაღლა, ცისკენ ვიყურებით, ბუნება ნალექის სახით გაიღებს თუ არა მოწყალებას. ჩვენ ჩვენის მხრით, ცდა არ უნდა დავაკლოთ, რომ გვიშრომია, იმაზე მეტად გავისარჯოთ და დავიიმედოთ თავი, რომ შრომა უსათუოდ გაგვიმართლებს.

აქა-იქ გავესაუბრეთ მეურნეებს. ვნახეთ, რომ ყველას ერთნაირი სატკივარი აწუხებს:

ლ. ჭანტურიძე, სოფ. საზანო: რა გითხრათ, რა ვიცი, სამკურნალო წამლების არ იყოს, საწვავ-საცხები მასალები სულ უფრო ძვირდება. სასუქსაც ისეთი ფასი ადევს, არ მგონია, პენსიონერმა მეურნემ შეიძინოს. შარშანწინ ათასი m^2 მიწის დახვნა 15 ლარი ღირდა, შარშან—20 ლარი, წელს უკვე 25 ლარს ითხოვენ მექანიზატორები და უნდა მისცე, სხვა რა გზაა, მათაც თავისი გასაჭირი აქვთ. რა გული გაგიძლებს მიწის მოყვარე კაცს, ფართობი დაუხნავი დატოვო. მე ჩემი დრო მოვჭამე, ახალგაზრდები მეცოდება, აქ რომ ვერაფერს იწევენ, სხვაგან გარბიან სამუშაოდ. უცხოეთში ნაშოვნი გროშებით აქ ოჯახს არჩენენ, ვისაც ჰყავს, ცხადია, ვისაც არ ჰყავს, ხელმოკლეობის გამო შექმნაზეც აღარ ფიქრობს. ცარიელდება სოფლები, ნახეთ სკოლებში, თითზე ჩამოსათვლელი ბავშვებია დარჩენილი.

შრომაში ვარ ჭიპმოჭრილი, შრომაც ვიცი და შრომის ყადრიც, მეურნეობაც ძლიერი მაქვს და ოჯახიც, მაგრამ ახალგაზრდები თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე ამდენს ვერ შეძლებენ. ბარის და თოხის დრო წავიდა. სოფელს სხვანაირი მიდგომა უნდა დღესდღეობით.

ჰოდა, ვისმინოთ, ბატონო.

ალ. ბუცხრიკიძე, სოფ. ალისუბანი. ჩემი დღე და მოსწრება მიწასა ვარ შეჭიდებული. უკვე 60-ს გადავშორდი, მაგრამ დღესაც პირად დამხმარე მეურნეობაში მოწეული მოსავლით გამაქვს თავი. ძველების ნათქვამია, თუ სასიმინდეში სიმინდი გაქვს, ნურაფრის გეშინიაო. თავსაც გამოკვებავ, საყოლიებელსაც... მთავარია, ხელი გაანძრიო. რაღაცატომ მგონია, რომ ჩვენებურები შრომას გადაეჩვივნენ, აგერ კაცო, საკუთარი ადგილები გავერანებული აქვთ და ეგერ, თურქეთში თოხნიან, თხილს ბოჭავენ და ჩაის კრეფენ...

ესაა, გვალვა შემოგვეჩვია, ისე მაღალია ხოლმე ტემპერატურა, ხეები შეაწუხა, ნიგოზი, ტყემალი, ატამი ლამის გაახმო. ძალიან დიდი საფიქრალი გაგვიჩნდა. ღელეზე წყლის წისქვილი მქონდა, ცა და ქვეყანა ჩემთან მოდიოდა, წყლის წისქვილზე დაფქულის მჭადს სულ სხვა გემო აქვს, ვეღარ ვამუშავებ, წყალი აღარაა კალაპოტში.

თუმცა, წლევანდელი მოსავლისადმი იმედიანად ვარ განწყობილი, ღვთის მადლით, ნალექიც უხვად მოვიდა ზამთარში ადრინდელისაგან განსხვავებით.

თუ მეტი ხელშეწყობა იქნა, სოფელი აღორძინდება. ამაზე უნდა იფიქრონ ქვეყნის მესვეურებმა და საერთოდ, თუ გინდა ქვეყანა ძლიერი იყოს, სოფელი და სოფლის მეურნეობა მათი უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

ი. ერაძე

მუნიციპალიტეტის მერიაში
სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა—ჩვენი უფლება!

7 თებერვალს, მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, გაიმართა საქმიანი შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ: მერის წარმომადგენლები სოფლებიდან, საბავშვო ბაგა-ბაღების და სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები. მათთან თემაზე „სუფთა წყლისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობა, როგორც ადამიანის უფლება“, სასაუბროდ და განმარტებებისათვის მოვიდნენ სტუმრები კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელიდან (CENN). კერძოდ, ვახო ქოჩორაძე—გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი (ჯგუფის ხელმძღვანელი), მაკა ნუცუბიძე, პროფესორი, გარემოს ეროვნული სააგენტოს ტრენერი, შოთა გაფრინდაშვილი—იმერეთის რეგიონის კოორდინატორი.

ცნობისათვის: CENN არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ჩვენი გარემოს დაცვაში სამხრეთ კავკასიაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობის გზით. CENN სპეციალიზებულია მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, რესურსების მდგრადი მართვა, ჯანმრთელი და აყვავებული კლიმატის მდგრადი თემების მშენებლობა და განვითარება, გარემოს დაცვით საკითხებში ქალთა ჩართულობა და ამ კუთხით მათი როლის ზრდა.

გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული, ადგილობრივი და რეგიონული პრობლემების ეფექტიანად გადასაჭრელად, აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს რეგიონულ პროექტებს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.

ღონისძიებაზე, პროფესორ მაკა ნუცუბიძისა და სხვათა მიერ, დეტალურად იქნა გაშუქებული, თუ რაში მდგომარეობს სუფთა წყლისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობაზე ადამიანთა უფლებანი, რომ თუ ეს უფლება არაა დაცული „დომინოს პრინციპით“ ირღვევა და იშლება სხვა უფლებები“ (მისი სიტყვებია).

ამასთან, განმარტებული იქნა თითოეული ადამიანის მოვალეობანიც წყალთან მიმართებაში. რომ წყლის დაბინძურების ნებისმიერ შემთხვევაში მათი რეაგირება უნდა იყოს გულმოდგინე და ოპერატიული.

პროექტის ფარგლებში გარემოს ეროვნულ სააგენტოს შეუძლია უფასოდ მოემსახუროს კონკრეტულ იურიდიულ პირს წყლის სისუფთავის შემოწმებასა და ჰიგიენურობის დადგენაში.

დასკვნითი ნაწილი წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში და თემის ირგვლივ ყოველი საკითხი ბოლომდე იქნა გაშუქებული.

ღონისძიებას ორგანიზება გაუკეთეს და მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი ამირან სოფრომაძე, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ მარაქველიძე.

ი. მარუაშვილი

გაზეთი „წინსვლა“ და ლამარა აბულაძე
ორმოცდასამი წლის წინანდელი ამბები

...ქრისტეშობიდან 1977 წელს ითვლიდა თერჯოლაც. ეს და მომდევნო წლები იყო ჩაის, ყურძნის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის რეკორდული მოსავლის წელი. 1120 ტონა ჩაი მოიკრიფა ამ წელს თერჯოლაში. მრავალ მოწინავე მეჩაიეთა შორის გამორჩეული იყო ძევრელი **ლამარა აბულაძე,** იგი ტონობით ჩაის ფოთოლს კრეფდა, სწორედ ამიტომ იყო შრომის ორდენოსანი და სხვადასხვა მოწვევის ადგილობრივი და რაიონული საბჭოს დეპუტატი. „წინსვლაც“ ხშირად სწორედ ამიტომაც წერდა მასზე.

ლამარა აბულაძე ახლაც ძევრში ცხოვრობს. ცხადია, ძველებური შემართება და ჯანი აღარ აქვს, მაგრამ აღარც ჩაია საკრეფი. ახლა ისვენებს. თავის დროზე, ახალგაზრდებს აყვარებდა ამ საქმეს. მერე ისინიც მოწინავენი გახდნენ და არა მარტო ერთ—მეჩაიეობის დარგში.

* * *

ლამარა აბულაძე, როგორც გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი, თავადაც წერდა წერილებს. გაზეთ „წინსვლის“ 1977 წლის ერთ-ერთ ნომერში მან ახალგაზრდა ნათელა ვერულაშვილი გაგვაცნო. მას გაპიროვნებული ჰქონია ჩაის პლანტაცია 2000 მეტრი, ვენახი—3000 მეტრი, სიმინდის ფართობი—5000 მეტრი. „არ იღლებიო?“—დაუსვამს კითხვა ლამარას—„გარეგნულად მშვენიერი ნათელას ხელები პასუხობდნენ ამ კითხვებსო“—წერს ლამარა.

ნეტა თუ ახსოვს ეს წერილი, ან ის, რამდენს ვწერდით მის წარმატებაზე! ანდა, სად არის მისი რესპოდენტი—ასაკოვანი იქნება ისიც. იმედია, ბედნიერი და ჯანმრთელი.

დედის დღეს და ქალთა დღეს ვულოცავთ ქალბატონ ლამარას, დიდხან სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ.

აუცილებლად მოვიკითხავ ნათელა ვერულაშვილს, გავიგებ სად არის, როგორ ცხოვრობს!

წარსულის გახსენების სურვილით

გაზაფხულის პირველ და ყველაზე ლამაზ დღესასწაულებზე მაინცდამაინც **ნინო კურცხალია,** თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე, ერთი მიზნითაც გავიხსენეთ.

ოცდასამი წლის წინ, გაზეთ „წინსვლის“ ერთ-ერთ ნომერში ვწერდით მასზე, როგორც ჩხარის ღვინის ქარხნის მოწინავე მუშაზე, იქვეა ფოტოც. ახლახანს შევხვდი. საუბარი არც მქონდა დამთავრებული, კითხვა შემომიბრუნა—**ნინელი გიორგაძესთან** ერთად ვიქნებიო. იუარა, რატომ უნდა დაწეროთ ჩემზე, როცა ამდენი ქალბატონიაო, მაგრამ გულის სიღრმეში ესიამოვნებოდა, მას ხომ დღემდე ახსოვს ორმოცდასამი წლის წინანდელი ამბავი, ნეტა გაზეთის ნომერიც თუ აქვს. რამდენადაც ვიცნობ ნინოს, ექნება!

ნინოს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, არის ბიბლიოთეკათმცოდნე, უყვარს თავისი საქმე და სიყვარულით ემსახურება, ახლა სკოლის ბიბლიოთეკაში 3000-ზე მეტი წიგნია, მხატვრული, სამეცნიერო, საბავშვო, ისტორიული, ენციკლოპედიური. „ბიბლიოთეკა მარტო წიგნსაცავი კი არა, კაცობრიობის გონების სინთეზია“-ო, უყვარს ეს ბევრისმთქმელი ფრაზა და ხშირად ფიქრობს, როგორ შემოაბრუნოს ახალგაზრდები წიგნისკენ. „წიგნი მაინც წიგნია, მას ვერაფერი ცვლის“-ო.

კარგი ოჯახი აქვს ნინოს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი—დათო ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტია, ანა—ეკონომისტი, ახლა გერმანიაში მუშაობს ფრანკფურტის ერთ-ერთ ბანკში, თან მაგისტრატურას ამთავრებს.

იყო დრო, როცა იშვიათად, მაგრამ მაინც „კორესპონდენტობდა“ ნინო „წინსვლის“ ფურცლებზე, „თერჯოლაც“ სიამოვნებით ითანამშრომლებს მასთან.

ასეთი იყო წარსულიდან ნინოს ცხოვრების ერთი პატარა მონაკვეთი!

გილოცავთ გაზაფხულს ქალბატონო ნინო!

სამშობიარო სახლი სრულ მზადყოფნაშია

„თერჯოლამედის“ პირველ სართულზე უკვე გამოჩნდა წარწერა **„ვასო ვერულაშვილის სახელობის სამშობიარო სახლი“.** ძალიან მალე თერჯოლაში ისევ დაიბადებიან ბავშვები და ეს ბევრი ახალგაზრდა დედის ოცნების ასრულება იქნება. „იმერმედის“ ხელმძღვანელობა და მეან-გინოკოლოგიაში პირველი კატეგორიის სპეციალისტი, იმერმედის მეან-გინოკოლოგი 2017 წლიდან, ლალი გვეტაძე—ელოდებიან სერთიფიკატს და სამშობიარო სახლიც მალე გაიხსნება 18 საწოლზე.

* * *

...და გავიხსენეთ მე და ქალბატონმა ლალიმ რაიონულ საავადმყოფოში მისი სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდი. ჩვენს გაზეთს არა ერთხელ დაუბეჭდავს ახალდაბადებული ბავშვის ფოტო, რამდენიმე მონაცემი—დაბადების დრო, წონა, სიგრძე. ექიმებთან და მშობლებთან ერთად მეც დავლოდებივარ დაბადებას, გაზეთის საახალწლო ნომრისათვის.

ლალი გვეტაძის ყველაზე დიდი სურვილია, კვლავ დაიბადონ თერჯოლაში ბავშვები, მალე გაიხსნას სამშობიარო სახლი. ოცნება მალე აგიხდებათ ქალბატო ლალი, მანამდე კი, ქალთა დღეებს გილოცავთ „თერჯოლამედის“ ქალბატონებთან ერთად!

ჟუჟუნა ცხადაძე

გილოცავთ!

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის თანამშრომლები დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს ამავე ბაღის დირექტორს, ქალბატონ **ნატო აბულაძეს**.

დიდია თქვენი დამსახურება ჩვენი საბავშვო ბაღის წარმატების საქმეში. თქვენ ხართ სამაგალითო დედა, ერთგული მეგობარი და კარგი ხელმძღვანელი.

დღევანდელ დღეს კიდევ ერთხელ გამოვხატავთ პატივისცემას და მადლიერებას თქვენს მიმართ. გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და წარმატებას პირად და პროფესიულ საქმიანობაში, დაბადების დღესთან ერთად გილოცავთ დედის და ქალთა დღეებს.

ახლობელ ადამიანთა მოლოდინში...

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალს—ძევრის შშმ პირთა პანსიონატს ათეული წლების განმავლობაში ძევრის ინვალიდთა სახლს უწოდებდნენ. ინვალიდად მოიხსენიებოდა არამარტო აქ მობინადრენი, არამედ ყველა, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლნი, რომლებიც ტრამვით დაბრუნდნენ. „ინვალიდი“—არ არის ეს სიტყვა კარგი მოსასმენი, „შეზღუდული შესაძლებლობა“ მას კარგად ესადაგება.

1956 წელს გაიხსნა ეს სახლი და 300 საწოლზე იყო გათვლილი, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, სხვადასხვა მძიმე დიაგნოზით დაავადებული ადამიანები ცხოვრობდნენ აქ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და ხშირად სიცოცხლის ბოლომდე, მათი სამუდამო განსასვენებელიც ძევრში იყო. აქაურ მობინადრეებს ზედმეტ-ნაკლებად ყოველთვის ჰქონდათ არსებობის პირობები, მაგრამ ბოლო წლებში აქ ცხოვრება მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. სიტყვა „ცხოვრება“ შემთხვევით მოხმობილი არ არის. ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას ვერავინ შეცვლის, ასეთებად არიან დაბადებულნი, მაგრამ, სხვა მხრივ, არაფერი აკლიათ, მაგრამ აკლიათ ყველაზე მნიშვნელოვანი—ოჯახური გარემო, რადგან ოჯახებს, მათ ახლობლებს არ აქვთ სურვილი, მათივე სისხლი და ხორცი იმყოფებოდეს მათ გვერდით, სახელმწიფოსგან კი მეტი არაფერი შეიძლება! ამ სიტყვებს რომ ვამბობ, „საბუთი“ მაქვს...

ერთი დღე პანსიონატში...

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს, უსახლკარონიც არიან და სახლკარიც რომ მოწესრიგებული აქვთ, ისეთებიც. ათასობით ბავშვი ქუჩაში ცხოვრობს, სანაგვეებზეც შეხვდებით ერთეულ ადამიანებს... შედით ბატონო ძევრის პანსიონატში, დაათვალიერეთ, ნახეთ და დარწმუნდებით, რომ ეს პანსიონატი ნამდვილად არის ზრუნვის ობიექტი.

კორპუსები კეთილმოწყობილია, სამზარეულო და სასადილო ოთახები, დგამ-ავეჯი, ჭურჭელი, სამაცივრო დანადგარები კრიალებს, ორი საქვაბე მეურნეობა პანსიონატს უზრუნველყოფს ცხელი წყლით, გათბობით, ვანატუალეტი საცხოვრებელ ოთახებშია, ეზო მოწესრიგებული, მენიუში ნახავთ, რომ პანსიონატის მობინადრეებს ოთხჯერადი კვება აქვთ, მარაგდებიან ახალი ხორცით, თევზეულით, რძითა და რძის პროდუქტებით, ბურღულეულით, ბოსტნეულით, ხილით...

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის—სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო უზრუნველყოფს პანსიონატის ცენტრალიზებული წესით მომარაგებას და ცხადია, თანხებსაც ის განკარგავს. ძევრის პანსიონატიდან შეკვეთები მიდის და ყველაფერი, რაც ჭირდებათ, თბილისიდან შემოაქვთ, კონტროლსაც თვითონ განახორციელებენ.

ძვირი უჯდება სახელმწიფოს პანსიონატის ფუნქციონირება. რა იხარჯება დღეში ერთ ბენეფიციარზე, მხოლოდ იმან იცის, ვინც ხარჯავს, მაგრამ, ჩვენი ცხოვრების გადასახედიდან, ალბათ იმაზე გაცილებით მეტი, რამდენსაც ბევრი ჩვენგანი ხარჯავს.

პანსიონატში ბენეფიციართა ზღვრული ოდენობაა. არის სამოცდახუთი ბენეფიციარი და ამდენივეა დატვირთვაც, ბევრი დგას თურმე აღრიცხვაზე, აქ არიან ყველაზე მძიმე დიაგნოზით დაავადებულნი მთელი ქვეყნიდან და 65-დან 63-ს თვითმოვლის უნარი არ გააჩნია, ამიტომ არის პანსიონატის თანამშრომელთა რიცხვი დიდი. ჰყავთ: 32 მომვლელი, 6 ექთანი, 2 ექიმი, 1 სოცმუშაკი, 1 ფსიქოლოგი, 3 მზარეული, 6 მზარეულის დამხმარე და სხვა ტექპერსონალი—სულ 66 თანამშრომელი, კარგია ხელფასებიც, მაგრამ არა იმდენი, მათ მძიმე შრომას რომ ჰყოფნიდეს. თუ კეთილსინდისიერად ასრულებ მინდობილ საქმეს, თუ გულით გიყვარს, თუ შეგტკივა მისი, ვისაც უვლი, ათასობით ლარიც ალალია.

* * *

თითოეულ ბენეფიციარს ჰყავს ე.წ. „მხარდამჭერი“. მათი მოვალეობაა, განკარგონ ბენეფიციარის სახელმწიფო გასაცემლები, უზრუნველყონ საჭიროების დროს მათი ჯანდაცვა, განსაზღვრონ საცხოვრებელი ადგილის არსებობა (გადასვლა სხვა პანსიონებში ან ოჯახში), იყვნენ მათი წარმომადგენლები იუსტიციის სახლებში და სხვა. ბენეფიციარებს ბანკებში აქვთ გარკვეული რაოდენობის დაგროვილი თანხა, პენსიის სახით, თანხის გამოყენება შეუძლია ოჯახს, ნათესავს, სხვა პირს იმ შემთხვევაში, თუ აიღებს პასუხისმგებლობას ბენეფიციარზე მისი სიცოცხლის ბოლომდე. თვეში ერთხელ მხარდამჭერები ანგარიშს აბარებენ აღებულ პასუხისმგებლობაზე.

პანსიონატში დაცულია კვების რეჟიმი, მენიუ ყოველ ათ დღეში იცვლება, საკვები მეორდება. ორი ბენეფიციარი სპეციალურ კვებაზეა, ისინი ცალკე მარაგდებიან, საკვები ძვირადღირებულია.

* * *

საქართველოში 5 პანსიონატია. ორი ხანდაზმულთა, სამი სხვადასხვა დაავადებების მიხედვით. ძევრში მიიღებიან მძიმე და ღრმა გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბენეფიციარები 18 წლისა და ზევით. პანსიონატში არის გართობის საშუალებებიც, მას იყენებენ ისე, როგორც შეუძლიათ.

* * *

ცხოვრება სხვანაირად, მაგრამ აქაც გრძელდება, არის სიცოცხლეც და გარდაუვალი გარდაცვალებაც, ორი წელია აქ არავინ გარდაცვლილა, არ დასჭირვებიათ სარიტუალო მომსახურება, ასეთ დროს ამ მომსახურებას სარიტუალო ხელშეკრულების საფუძველზე „ჰერმესი“ და „ქართული ტრადიციები“ გასწევენ.

* * *

პანსიონატს 2011 წლიდან ექიმი თემურ ზარნაძე ხელმძღვანელობს. მანამდე, აქ მუშაობის გამოცდილება, დირექტორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში დააგროვა. იგი კარგი ხელმძღვანელია, მზრუნველი თანამშრომლების და ბენეფიციარების მიმართ—გვითხრეს, რომ მათთვის გეგმავს ექსკურსიებს და დაჰყავს ოჯახებშიც, რადგან აქ იშვიათად მოდიან ბენეფიციართა ახლობელი ადამიანები.

თემური კარგ და ღირსეულ ოჯახში აღიზარდა, ასეთივე ოჯახი შექმნა თვითონაც და მისგან მისაბაძი მამობა, მეუღლეობა და ხელმძღვანელობა, არ არის საკვირველი.

ჟუჟუნა ცხადაძე

დამაბარეს ათასი მადლობა...

რას იფიქრებდნენ, რომ ერთი წელი შეცვლიდა ცხოვრებას, რაღაც განსაკუთრებულ ელფერს შეძენდა მას და აფიქრებინებდათ, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, ცხოვრება მშვენიერია. ერთი წლის წინ, საზანოელი ცოლ-ქმარი სპარტაკ თარგალაძე და შორენა კვანტიძე სამ მოზრდილ შვილთან—საბასთან, ოთართან და დალისთან ერთად სახლ №1-ში ცხოვრობდნენ, ახლა კი სახლ №2-ში



ცხოვრობენ.

ამ სახლებს შორის ნამდვილად არის განსხვავება, თანაც იმდენად, რომ შეიძლებოდა შეცვლილიყო არამარტო ცხოვრების პირობები, არამედ განწყობილება: შეცვლილია ოჯახის წევრთა ხასიათი, ერთმანეთთან დამოკიდებულება და არის სურვილი, მეტი იშრომონ, შეიძინონ. სოფელში მერის წარმომადგენლის დავით გოგბერაშვილის თქმით—ამ ერთ წელიწადში მეტი მოტივაცია მიეცათ, ფიზიკურად კი მეტს შრომობენო და უკვე დამუშავებულ მიწის საყანე ფართობზე მიმითითა.

* * *

33 ათასი ლარი დაჯდა სახლის მშენებლობა სამი კეთილმოწყობილი ოთახით. თანხა მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცა. მშენებლობას აწარმოებდა შპს „სარგო“ (ხელმძღვანელი ნუკრი სარდანაძე). მშენებლები: მანუჩარ თურქაძე, რაჟდენ ბოჭორიშვილი, რეზო და გიორგი ნიკოლაძეები, სულს და გულს დებდნენ საქმეში.

სხვა გეგმებიც არის ოჯახში. შორენამ თქვა, რომ დროდადრო გააფართოებს სახლს, მიაშენ-მოაშენებს დამხმარე სათავსოებს. „იმდენად მყარი ბალავერი აქვს, მეორე სართულიც შეიძლება დაეშენოსო“—რჩევა არ დაუმადლებია ოჯახისათვის დავითს.

შორენამ კი ათასი მადლობა დამაბარა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მისამართით.

* * *

იმავე პერიოდში, ზუსტად ისეთი სახლი აუშენა მერიამ გოდოგანში მცხოვრებ დოდო აფრიდონიძეს, როგორიც საზანოელ თარგალაძეებს. ტყუპებივით არიან სახლები. ანალოგიური განწყობა და სიხარულია აქაც, ათასი მადლობა ჩვენიდანაცო—დაგვაბარეს აფრიდონიძეების ექვსწევრიანმა ოჯახმა და მერის წარმომადგენელმა სოფელში გურამ ცირეკიძემ.

ჟუჟუნა ცხადაძე

სამადლობელი წერილები

რამდენიმე დღე მომიწია „თერჯოლამედში“ მკურნალობამ. ამ დღეების განმავლობაში ყველა აქ მომსახურე პერსონალისგან ვგრძნობდი დიდ ყურადღებას და გულისხმიერებას. აქ მუშაობენ საქმისა და პაციენტების მოყვარული მედპერსონალი. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მკურნალ ექიმ-ნევროპათოლოგს ქალბატონ სოფიკო ბუსკივაძეს, ექიმ-კარგიოლოგს ნინო ცხადაძეს, ოჯახის ექიმს გია სიმონგულაშვილს, უფროს ექთანს ელისო გავაშელს, ექთნებს: ქალბატონ ნინო ზუზაძეს, ლალი აბჟანდაძეს, ლელა რობაქიძეს, ია ფერაძეს, ლელა სოფრომაძეს, ია ლომიძეს, ნესტან ღიბრაძეს, სოფო მაჩიტიძეს, სანიტრებს: თამუნა რამიშვილს, თეა გამეზარდაშვილს, ნინო ჩაჩანიძეს, დამხმარეს მთვარისა ბერუაშვილს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ადამიანმა, აქ ყოფნის პერიოდში, არ დამაკლეს მზრუნველობა, ყურადღება და სითბო, მადლობა მათ ამისათვის, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ ყველას.

პატივისცემით: ლალი ბუხაიძე, თერჯოლიდან

დიდი მადლობა იმ მომსახურებისთის, რაც „თერჯოლამედის“ ექიმებმა და თანამშრომლებმა გამიწიეს. წამალი და მომსახურება არ დაუკლიათ ჩემთვის. მომკივანი მიმიყვანეს სასწრაფოთი, მარჯვენა ფეხი შეშუპებული მქონდა. ერთი წუთითაც არ მივუტოვებივარ ექიმებს. თერჯოლამედისთანა საავადმყოფო ნეტავ ყველგან იყოს—ასეთი საუკეთესო, მცოდნე, ენერგიული, თავისი საქმის მიმართ პროფესიონალები. ყველა ავადმყოფს ვთხოვ, რომ ჰქონდეთ მათი იმედი. თუ რაიმე არის მათზე დამოკიდებული, ყველაფერს გაუკეთებენ, მადლობელი ვარ მიმღების თანამშრომლების გულთბილი მიღებით. ექიმ ტრამვატოლოგის გია კირთაძის და ყველასი, ვინც მმკურნალობდა. დიდი მადლობა ძვირფასებო, უფალმა დაგლოცოთ.

ანნა შანიძე

მადლობა საჩხერელ ექიმებს

ვმუშაობ საჩხერე-ამბროლაურის გზის რეაბილიტაციაზე და ამჟამად დროებით იქ ვცხოვრობ. დილით, სახლიდან გამოსულმა, მივიღე ძლიერი ტრამვა, მქონდა ძლიერი დაზიანებები. რამდენიმე დღე საჩხერის საავადმყოფოში ვიწექი და დღესაც ვმკურნალობ.

ჩემს მიმართ საჩხერის საავადმყოფოში გამოიჩინეს განსაკუთრებული გულისხმიერება, ყველაფერი გააკეთეს ჩემი გადარჩენისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

დიდი მადლობა ექიმებს, მთელ პერსონალს და განსაკუთრებით ექიმ გიორგი სადუნაშვილს.

რევაზ ჭანკვეტაძე,
თერჯოლა

ნაცნობი ავტორის მორიგი წიგნი



გივი ლობჟანიძე, დახვეწილი ინტელიგენტი, უგანათლებულესი პიროვნება, სამშობლოსა და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი. იგი ბევრს ემახსოვრება თერჯოლის რაიონში ხუთწლიანი მოღვაწეობიდან. ცნობისათვის: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიციის გენერალ-მაიორი... დაიბადა 1948 წლის 3 მაისს ამბროლაურის რაიონის, სოფელ ღებში. დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტები.

არის მრავალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი: ვახტანგ გორგასალის III ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი. რედაქტორობს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „ცხოვრება და კანონი“.

არჩეულია საერთაშორისო, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა და რამოდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრად. ამჯერად, ბატონმა გივიმ კიდევ ერთი წიგნით გაგვახარა ლიტერატურის თაყვანისმცემლები. აი, რას ამბობს შესავალში ამ წიგნის შესახებ ცნობილი მწერალი თემურ ამყოლაძე (ზოგიერთი ამონარიდი): „დიდი ხანია, გივი ლობჟანიძეს თავისი მკითხველი ჰყავს, ისინი, ძირითადად, სამართალმცოდნეები და სტუდენტები არიან. ცხადია, ის ამასთან, პროფესიული, ინტელექტუალური წრეც, ვისაც ქართული (და არა მხოლოდ ქართული) სამართლებრივი და ზოგადად, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია აინტერესებს.

მაგრამ, ეს მიზანდასახული კაცი მიღწეულით არ კმაყოფილდება და სათქმელის გამოხატვის ახალ ფორმებს ეძებს. ამ ძიებამ პროფესიონალი ისტორიკოსი და იურისტი კანონშემოქმედი, პროფესორი, პუბლიცისტი, მიიყვანა მხატვრულ-დოკუმენტურ პროზასთან, ლიტერატურის ამ საჭირო და მშვენიერ ჟანრთან“.

„...ცხადია, ნებისმიერი ადამიანის მემუარი, უპირველესად—ლიტერატურული ნიჭისა და მეორე—მისივე ცხოვრების გათვალისწინებით, თანაბარმნიშვნელოვანი ვერ იქნება, ეს ბუნებრივია, მაგრამ ყოველი მათგანი დაგვიტოვებს რაიმე ღირებულს—საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის ისტორიისათვის ფასეულ ამბავს, თუკი, რა თქმა უნდა, მიუკერძოებლად მოგვითხრობს და არც არაფერს გამოიგონებს ავტორი, არაფერს შეთხზავს.

გივი ლობჟანიძე თავადაც ცნობილი ადამიანია (რეგალიებს აღარ ჩამოვთვლი), უმდიდრესი და მრავალფეროვანი ცხოვრებით უცხოვრია, უამრავი რამ უნახავს, ქვეყნის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ტრიალებს დღესაც, ამიტომ სათქმელიც ბევრი აქვს. ზოგ რამეს, გასაგები მიზეზების გამო, ვერც დაწერს, მაგრამ რასაც გვიამბობს (მხოლოდ და მხოლოდ იმას, რაც თვითონ უნახავს), გვიამბობს ლაღად, მიმზიდველად, ნოველური სისადავითა და სინათლით. გარემოებათა გამო, ზოგჯერ პუბლიცისტურ სიმშრალესაც შემოურევს ხოლმე, როცა ადამიანის ღვაწლზე უფრო საუბრობს, ვიდრე თავგადასავალზე, მაგრამ ესეც საჭიროა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მეცნიერულ ნაშრომებს შეჩვეულ მის მკითხველს სასიამოვნო სიახლე ელოდება—გივი ლობჟანიძის „მოგონებათა ქრონიკები“.

პირადად ის კაცი ვარ, ვისაც ლიტერატურა ძალიან უყვარს და რომ დავიწყე ამ წიგნის კითხვა, ვეღარ მოვცილდი, სულმოუთქმელად ჩავათავე. გული დამწყდა, რომ ასე უცებ გამიფრინდა, ბრწყინვალე ქართულით აღწერილი მოგონებების „პირველად წაკითხვის ბედნიერება“.

ბატონი გივი მთელი 5 წელი, კომუნისტურ ხანაში, თერჯოლის პოლიციის შეფი იყო, რაიონის ცხოვრებით ცხოვრობდა და ცხადია, მოგონებებში თავის ადგილს უთმობს თერჯოლასა და თერჯოლელებს.

„თერჯოლის რაიონში მუშაობისას, ამბობს იგი, არაერთი ოჯახი და ადამიანი დავიმეგობრე. ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული იყო ის 5 წელი, რაც იქ გავატარე. იმერეთში ყველა რაიონს თავისი დამახასიათებელი და მიმზიდველი რამ გააჩნია, მაგრამ თერჯოლა, ჩემი აზრით, გამორჩეულია არამარტო გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ, უპირველესად—ხალხით. ვმეგობრობდი ბევრ გვართან, განსაკუთრებით კი ყიფიანების, კუბლაშვილების, მარუაშვილების, არაბიძეების, ნივწივაძეების, ჯაფარიძეების, ქაშაკაშვილების ოჯახებთან, იმიტომაც რომ, გამორჩეული და წარმატებული ადამიანებით იყო გაჯერებული ეს ოჯახები და არა მარტო ისინი.

მუშაობით რომ დავიღლებოდი და ცოტა დროს გამოვძებნიდი, განსატვირთად კუბლაშვილების უბანში გადავიდოდი. ჯერ შორიდან ვაკვირდებოდი ბატონი ვაჟას შრომას, ვინც არ იცნობდა და ვენახსა და ბაღჩაში მის გარჯას ნახავდა, იტყოდა, ხელმადლიანი გლეხი მუშაობსო, არადა, ოპერის წამყვანი მომღერალი ბრძანდებოდა. მე მასში ვხედავდი ღვთაებრივი მადლით ცხებულ კეთილშობილ კაცს...“

ბატონ გივის „მოგონებათა კრებულის“ დედაარსი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული სამშობლოს ბედსა თუ უბედობასთან, თითოეული ოჯახის სატკივართან...

„ოჯახის ინსტიტუტის შესახებ მედიაში ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები ქვეყნდება, აღნიშნავს იგი წიგნის ერთ-ერთ თავში—„მონაგარი“. ხშირად აბსურდულიც. სინამდვილეში, ოჯახი რთული სოციალური ფენომენია, მთელი საზოგადოებისა და წარმოებითი ურთიერთობების ორგანული ნაწილი. ბევრი სპეციფიკური თავისებურება რომ ახასიათებს. არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური განმარტება: ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვთა აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი, რომელიც განპირობებულია ერთად ცხოვრების, ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთ ზრუნვის ფაქტორით.

...მახსენდება ილია ჭავჭავაძის შეფასება. იგი ძალიან კარგად ერკვეოდა ოჯახის სამართლებრივ ბუნებაში და ოჯახის საწყისად და საფუძვლად ცოლქმრობას თვლიდა, მიაჩნდა, „ოჯახი რომ გამოშიგნო, გული-ღვიძლი გაუჩხრიკო, ჰნახავთ, რომ საცა ცოლქმრობა არ ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლქმრობაზე არის აშენებული ოჯახი“.

წიგნში აღწერილ მოგონებებში, რომელსაც იგი აღმზრდელ პედაგოგებს უძღვნის, ორგანულად უკავშირებს აღზრდა-განათლების სირთულეს, პედაგოგის ზოგადსაკაცობრიო მისიას...

„მაშინდელისაგან განსხვავებით, წერს ბატონი გივი, დღევანდელობა ახალ, განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მოზარდი თაობის აღზრდის, სწავლებისა და განათლების უძველესსა და ურთულეს საქმეს. არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს, რომ ტრადიციული ღირებულებების გადაფასების პროცესმა, „იდეალების კრიზისმა“, ახალგაზრდობის ზნეობრივი დეგრადაცია გაამძაფრა. გამოსავალი სკოლის, მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებაშია საძებარი. მასწავლებელს კი, როგორც დიდი ჩეხი განმანათლებელი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი ამბობდა, ისეთი მაღალი თანამდებობა უჭირავს, რომლის მსგავსიც არაფერი მოიძებნება მზის ქვეშეთში“.

მთავარზე უმთავრესი წიგნის ავტორის მოგონებებში, როგორც ზემოთ ვთქვით, სამშობლოს სატკივარია.

აი, ერთი მონაკვეთი, რომელსაც სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ მოგონებებიდან—„სინანული“. „დღეს, სხვებთან ერთად, მეც ბევრს ვფიქრობ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემაზე, არ ვიცი, როდის, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება, თუ არა და, ამას მაინც ვიგრძნობ, რომელ სივრცესა და განზომილებაშიც უნდა ვიქნე... მჯერა, ასეც იქნება, მაგრამ, ჩემი აზრით, ამისათვის აუცილებელია, ქვეყანაში დაიძლიოს არაადეკვატური პოლიტიკური სიჭრელე, დამთავრდეს მოქალაქეთა დაპირისპირება, რა სარჩულითაც უნდა იყოს. საქართველოს, ასეთი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების პატრონს, შეუძლია ეკონომიკურად მოწინავე სახელმწიფოთა რიგში ჩადგეს, რომ მიმზიდველი გახდეს ყველასათვის. მათ შორის—აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრები ადამიანებისათვის.

ერთი მუჭა ერი ვართ და ჩვენში ადგილი აღარ უნდა დარჩეს სიძულვილისათვის, თუკი ერთმანეთს ვერ გავუგებთ, სხვა როგორ გვენდობა, უნდა დავძლიოთ, დავამარცხოთ სიძულვილი, გაუტანლობა, ბოლოს და ბოლოს დავდგეთ „საერთო ნიადაგზე“, როგორც ამას თავის დროზე ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე გვთავაზობდნენ“.

შეუძლებელია და ყველაფერს ვერც დაწერ წიგნის ირგვლივ ერთ საგაზეთო სტატიაში. იგი ხელში უნდა აიღო და წაიკითხო. დარწმუნებული ვართ, მსუბუქი იუმორით შეზავებული, ნიჭიერი ავტორის მოგონებები ბევრ სიამოვნებას განგაცდევინებთ.

ოჯახები, სადაც ქალებისა და მამაკაცების ჰარმონია აძლიერებს სახელმწიფოს

მკვეთრმა სოციალურმა დიფერენციაციამ, უმუშევრობამ და სიღარიბემ პრობლემები შეუქმნა ტრადიციულ ქართულ ოჯახს. მით უფრო დასაფასებელია და განსაზოგადებელი ისეთი ოჯახების მაგალითები, როცა მისი ყოველი წევრი ცდილობს, მუხლჩაუხრელი შრომით თავი გაართვას სიძნელეებს, მხარში დაუდგნენ ერთმანეთს და გადაინაწილონ ის ტვირთი, ცხოვრებამ რომ დააკისრათ.

აგერ, შუა ქალაქში, გორაზე მცხოვრები ომარ და დოდო კუპატაძეების სანიმუშო ოჯახზე გვინდა ვთქვათ ორიოდ კეთილი სიტყვა. აქედანვე ვიტყვი, რომ თუ არა ასეთი ოჯახები, ალბათ გაცილებით ადრე დადგება ის სავარაუდო დრო, როცა (ღმერთმა ნუ ქნას) ქართველები საქართველოში დემოგრაფიულად უმცირესობაში აღმოჩნდებიან (მიგრაციის ტემპს გააჩნია). კუპატაძეების ოჯახში კი ჯალაბის სიმრავლეა. ოჯახის უფროსებზე უკვე მოგახსენეთ. მათ 3 შვილი აღზარდეს: მიხეილი, მირზა და მირანდა. დღეისათვის სამივენი დაოჯახებულია და 3 ახალი კერა შეემატა მამულს. მათი დიდი სიხარულია შვილიშვილები ლაშა და ანუკა. რაც მთავარია, ჯვარი ეწეროთ და, ოჯახის არცერთ წევრს არა აქვს „ჩემოდანი ჩალაგებული“ უცხოეთში წასასვლელად. იმედია, ღვთის შეწევნით, არც ჩაალაგებენ...

ის ადამიანები, ვისაც შრომის ყადრი ესმით და „ოფლითა თვისით“ მოიპოვებენ პურს არსობისას, წუხან, რომ ბევრი გაზარმაცდა და გადაეჩვია შრომას, განსაკუთრებით ახალგაზრდები. უკვირთ,—აქ, რაღაცატომ სასირცხვოდ მიაჩნიათ გარჯა, თავისი ადგილ-მამული გაპარტახებული აქვთ, მიდიან უცხოეთში, მაგ. თურქეთში და იქ კი არაადამიანურ პირობებში შრომობენ. კუპატაძეების ოჯახი კი ამ მხრივ გამორჩეულია, ბატონ ომარსა და ქალბატონ დოდოზე აღარაფერს ვამბობ, მათ ოჯახზე ზრუნვასა და მუხლჩაუხრელ შრომაში გალიეს წლები. ადრიდანვე გვერდში დაიყენეს შვილები, საოჯახო საქმიანობაში, ამიტომ აღარაა გასაკვირი, რომ როგორც მიხეილი, ისე მირზა (მირანდა თავის ოჯახში) ადვილად უმკლავდებიან დამოუკიდებელი ოჯახის მოთხოვნებს.

როგორი მონდომებული, მიზანმიმართული უნდა იყოს ახალგაზრდა, რომ ამ შეჭირვებულ დროში, საკუთარი დანაზოგით, სახლი ააშენო და ახალ ფუძე-კერას ჩაუყარო ბალავარი. სწორედ ეს მოიმოქმედა მირზამ. სულ ახლახანს, მან თავის რჩეულზც იქორწინა და ოჯახის შექმნითაც გაახარა მშობლები.

მისაბაძია ისიც, რომ სრული ჰარმონიაა ოჯახის წევრების ურთიერთობაში. გუგულებივით არიანო, ამ ეზო-რიადაგედან ჩხუბი რაა, ხმამაღალი ლაპარაკი არ გაგვიგონიაო, ამბობენ მეზობლები. დახმარება გინდა რაიმეზე? მამიან-შვილიანა შენთან გაჩნდებიანო...

ამ ფაქტზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ყოველთვის რთული იყო და არის ადამიანური ურთიერთობები. თვით დედმამიშვილებს შორისაც კი. ნათქვამია, თუ გინდა ძმები ერთმანეთს შეამდურო, ერთად უნდა დაასახლოო. მახსოვს, ადრე, ერთ-ერთ სოფელში (რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ), ძმებმა გაყოფისას საწნახელი და მაცივარი გახერხეს შუაზე. შემდეგ იმაზე წაიჩხუბნენ მაცივრის ძრავი რატომ შენკენ მოხვდაო. ჩვენს შემთხვევაში და-ძმას შორის, ისეთი კარგი ურთიერთობაა, გულით რომ ინატრებ კაცი და რაც განსაკუთრებით მთავარია, მოწიწება და პატივისცემა მშობლებისადმი.

არ იქნება ურიგო, მთავარი ქრისტიანული მცნება: „პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის“, მათებრ ყველა ახალგაზრდამ დაიცვას და აღიკვეთოს შვილების მიერ მშობლებისადმი მოპყრობის ისეთი საშინელი ფაქტები, არცთუ იშვიათად რომ ვგებულობთ ტელევიზიით თუ პრესით.

გაზაფხული დგება. განახლების, ბუნების გაღვიძების ლამაზი პერიოდი. გვინდა გაზაფხული და დედის დღე მივულოცოთ კუპატაძეების დიდ ოჯახს, განსაკუთრებით ოჯახის დედაბოძს ქალბატონ დოდოს, შვილს—მირანდას, რძლებს—ქეთინოს და მანანას, შვილიშვილ ანუკას.

დაე, სულ გაზაფხული ყოფილიყოს მათ გულებში.

გვერდი მოამზადა
იუზა მარუაშვილმა

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

ისტორია გვაწვდენს ხმას

წაგვიკითხავს და გაგვიგონია, რომ 8 მარტის თავგადასავალი 1857 წლიდან იწყება. ნიუ-იორკში ცარიელი ქვაბების „ბრახუნით“ გამოუხატავთ ქალებს პროტესტი თავიანთი უფლებების დასაცავად... ჰოდა, შორსმჭვრეტელმა კლარა ცეტკინმა (თუ ცეტკინამ) პირადი პიარისათვის მთელ მსოფლიოს მიაწვდინა ხმა—ქალებს, გინდათ თუ არა, თავისი დღე 8 მარტი უნდა ჰქონდეთო. კაცები უსიტყვოდ დათანხმებიან.

365-დან ერთი დღე—ქალებს! რა სალაპარაკოაო. 364 ხომ რჩება ჩვენს „განკარგულებაშიო“...

მაგრამ, ჩვენი გაზეთის ბევრმა მკითხველმა არ იცის, რომ 1912 წლიდან ამ დღეს ოთხი ევროპული ქვეყანა 12 მარტს აღნიშნავდა; შვიდი ქვეყანა—9 მარტს; რუსეთი და საფრანგეთი—2 მარტს.

დღესდღეობით თურმე მხოლოდ 29 ქვეყანაში აღნიშნავენ ქალები თავიანთ დღესასწაულს.

კიდევ ერთი „გაუგონარი“ ამბავი: ჩინეთში და მადაგასკარში 8 მარტი მხოლოდ ქალებისთვის ყოფილა უქმე. მამაკაცები კი ამ დღეს თურმე ჩვეულებრივად ღვრიან ოფლს...

3 მარტის ამბავი ყველას მოგვეხსენება. საქართველოში ეს მხოლოდ ჩვენი დედების მოფერების დღეა. ალალია მათზე (ამ ერთ დღეს მაინც თუ ისვენებენ?)...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ არაერთხელ მოუწოდა შვილებს, რომ განსაკუთრებით მოპყრობოდნენ დედის კურთხევას და ურჩია მათ—შინიდან წასვლის წინ დედას ხელზე მთხვეოდნენ, რადგან უფლისმიერი მადლი დედიდან შვილზე სწორედ ამ გზით გადადის.

დედის სახით კი შვილებს უფალმა ამქვეყნიურ ცხოვრებაში საიმედო დამცველი დაუდგინა.

მზია და მზიას წინდები...

ხელით ქსოვის ხელგაწაფულ ოსტატს, მზია კუპატაძეს ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი კარგად იცნობენ. ყოველი ზამთრის მოახლოებისას, დაიმარაგებენ ხოლმე მის მოქსოვილ წინდებს თუ დიდ-პატარა ბაჩუჩებს მაღალყელიანს და დაბალყელიანს, თავის უზორებითა და ფერად-ფერადი ზოლებით ჩაწნულ-ჩაქსოვილ-ჩასირმული სამშვენისებით მორთულ-მოკოკროჭინებულს...

მართლაც, თვალი ზედ დაგრჩებათ. შუბლი გაგეხსნებათ... ფასს არც იკითხავთ—რამდენი გადაგიხადოთო და საფულისკენ წაიღებთ ხელს... ასეა ყოველთვის. სასურსათო მარკეტისა და პსპ აფთიაქის წინ „ამოჩემებულ“ ადგილზე გამოფენს ხომე თავის ნაოსტატარს. იქვე ჩამოუჯდება მოხერხებულად და... ქსოვს, ქსოოვს...

უკაცრავად და დიდ სავაჭრო ცენტრებში შეძენილ ჭრელა-ჭრელა ვერცხლისა და ოქროსფერი ეტიკეტებით ფასდამძიმებულ ნაწარმს კი არ გავს, ერთი-ორი გარეცხვის შემდეგ საპნის ქაფს რომ გააყოლებს თავის ზიზილ-პიპილოს. მზიას „ფირმის“ ნახელავს რაც ხშირად გარეცხავთ, მით მეტი ლბილი და თბილი ხდება.

ყური ხშირად მომიკრავს: მზიას წინდები წნევას არეგულირებსო, რევმატიზმს არჩენსო, გრიპი აღარ შეგხვდებათო, ესაო, ისაო... იყიდეთ და დარწმუნდით ეს მითია თუ სინამდვილე, თბილი და გამძლეც რომ არის, ამაში კი ყველა დაგვეთანხმებით.

მათი სახელით, ვისაც მზიას მონაქსოვი წინდები გვაცვია—ვულოცავთ მას მარტის დღესასწაულებს. სიკეთე ჰქონოდეს და მის ნაქსოვს თვალი არასდროს წასვლოდეს...

რჩევები ახალგაზრდა დიასახლისებს

—ხორცი კარგად რომ გალღვება, შემდეგ დაიწყეთ მისი სადილისთვის მომზადება;

—ხორცი დარბილდება თუ ლიმონის წვენით დანამავთ და ცოტა ხანს გააჩერებთ;

—ღვიძლს ადვილად მოშორდება აპკი, თუ ერთი წუთით ცხელ წყალში ჩადებთ;

—სოსისი ხარშვისას არ გასკდება, თუ ხარშვამდე ჩანგლით დაჩხვლეტთ;

—ზოგ ძეხვს კანი ძნელად ძვრება, ამიტომ ერთი წუთით ცივ წყალში უნდა მოათავსოთ;

—თუ თევზი წყალში ჩაიძირა—ახალია;

—თევზს ქერცლი ადვილად რომ მოაშოროთ—რამდენიმე წუთით ჩაუშვით მდუღარე წყალში, შემდეგ კი—ცივში.

—ლიმონიდან მეტი წვენი რომ გაიღოთ, გამოწურვამდე 5-7 წუთით მოათავსეთ ცხელ წყალში.

თუ ჩვენი გაზეთის რჩევებს გაითვალისწინებთ—ჩუმ-ჩუმად მოყურადე დედამთილისა და მულების „ბწკენებისგან“ დროებით მაინც დაიზღვევთ თავს.

თითქოს არაფერი, მაგრამ...

არ შეიძლება ერთად მიირთვათ ხორცი და ყველი.

მოერიდეთ ხაჭაპურის და ტკბილეულის გაზიან სასმელებთან ერთად მიღებას.

კარტოფილი და ხორცი ერთად არ უნდა მიირთვათ.

არ მიაყოლოთ პური სუპს და ბულიონს.

არ შეიძლება ხაჭაპურისა და მწვადის ერთდროულად მიღება.

ჭამის შემდეგ არ უნდა მიიღოთ ხილი.

სიმღერის ტექსტი სარვამარტო ზეიმისთვის

ჩემთვის უცნობ ქალს,
დაგადევნებ თვალს,

შენთან გამოვატან ქარს,
ჩემი გულის თქმას,
სიყვარულის ხმას...

ადრე გაზაფხულზე
მომისწარი სულზე...
შენთვის ყოფილიყოს
შენთვის ყოფილიყოს
სულ მზე...

ჩემთვის უცნობ ქალს,
გაწვდენ გულის თქმას~
შენთვის ავაჟღერებ ქნარს,

ვინც რა უნდა დამძრახოს,
ვინც რა უნდა თქვას,
წინ გადაგიდგები და
არ გაგატან ქმარს.

სადაც უნდა მიდიოდე
დაგადევნებ თვალს
ჩემთვის უცნობ ქალს
ჩემთვის უცნობ ქალს...

ტექსტის ავტორი
ნუგზარ გამყრელიძე

კროსვორდი

გილოცავთ 3 და 8 მარტს



1. ბიჭი კი, არა... 2. დედა... 3. საღამო კი არა... 4. ქართული სიმღერა. 5. მანათობელი მწერი. 6. ვერდის ოპერა. 7. ერთ-ერთი ციური სხეული. 8. ქალები წინათ რითი რთავდნენ მატყლს? 9. პოეტები რას უძღვნიან სატრფოს? 10. გაზაფხულის პირველი თვე. 11. ქალის ყურსაკიდი სამკაული. 12. ერთ-ერთი პლანეტა. 13. ლუარსაბის მეუღლე. 14. ქართული ისტორიული ძეგლი. 15. სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. 16. ეთერის სატრფო. 17. გალაკტიონ ტაბიძის მუზა. 18. წმინდაო... 19. ოთარაანთ... 20. ვაჩუქოთ ერთმანეთს... 21. ქარი...

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. გარეჯი. 2. სააკაძე. 3. სამაჩაბლო. 4. დიდგორი. 5. ორბელიანი. 6. უფლისციხე. 7. ჩიხორი. 8. მცხეთა. 9. აღმაშენებელი. 10. ჰერეთი. 11. მამული. 12. საინგილო. 13. წარსულისაგან. 14. არწივი. 15. სოფრომაძე (ტრისტანი). 16. არაგველები. 17. მიწა. 18. შარტავა. 19. ომი. 20. იბერია. 21. წყნეთელი. 22. ჭოროხი.

გვერდი მოამზადა ნ. გამყრელიძემ

მურთაზი ნიკოლაძე



პირველ მარტს 4 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ყველას გული დაგვწყვიტე—ოჯახს, მეზობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, შენს აღსაზრდელებსა და აღზრდილებს, რომლებთაც ასწავლიდი ნახშირღელესა და ეწრის საჯარო სკოლებში.

შენი გარდაცვალებისა და დაბადების დღეს ჩვენი დიდი ოჯახი—დედა, დედმამიშვილები, მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ერთად მოვდივართ საფლავზე, ვიხსენებთ ჩვენი ოჯახის ცხოვრების ლამაზ დღეებს, რომლებიც შენთან ერთად გაგვიტარებია.

გჯეროდეს, რომ შენი მეუღლე, შვილები, რძლები და შვილიშვილები ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი გაძლიერებისათვის, არ დაივიწყებენ შენ სახელს, შენ მიერ ლამაზად გავლილი ცხოვრების გზას, რომელიც ყველასაგან მოულოდნელად, 54 წლის ასაკში შეწყდა.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული!

ოჯახი

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნელიკო და თემურ კირკიტაძეებს დედამთილისა და დედის

დალი ცერცვაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მადონა და რამინ ქასრაშვილებს მამამთილისა და მამის

გრიშა ქასრაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

დედის დღე—სად, როგორ აღნიშნავენ...

დედის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად აღნიშნავენ. ასევე განსხვავებულია მისი დაწესების ისტორიაც. საქართველოში დედის დღე 3 მარტია. იგი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თაოსნობით დაწესდა. დედის დღეს საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ის მაინც ცალკე აღინიშნება და როგორც 3 მარტი, ოფიციალურად უქმე დღეა. დედის დღე ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება. ტრადიციულად შვილები დედებს ყვავილებს, ღია ბარათებს ან სიმბოლურ საჩუქრებს ჩუქნიან.

„დედის დღის“ სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატებია მიჩნეული. ამ დღის აღნიშვნის პირველი მცდელობა 1902 წელს იყო. აქტივისტმა ქალმა, ჯულია უორდსმა გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო ისეთი დღესასწაული, რომელიც გააერთიანებდა ყველა დედას მშვიდობისთვის ბრძოლაში. მან საამისოდ არაერთი აქცია მოაწყო, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ მოგვიანებით, 1907 წელს, მოქალაქე ანა ჯავისმა, რომელიც ითვლება ამ დღის ერთ-ერთ ფუძემდებლად, დაიწყო ოფიციალური წერილების მიწერა ჩინოვნიკებისთვის, რომ აუცილებელი იყო დედის დღის დაწესება. მისი მცდელობები წარმატებით 1910 წელს დასრულდა და ვირჯინიის შტატში ოფიციალურად პირველად აღნიშნეს დედის დღე. ოთხ წელიწადში კი ის უკვე ოფიციალურად მიიღეს და მას მერე, დღესასწაულს აღნიშნავენ ყოველი წლის მაისის მეორე კვირა დღეს. დედის დღეს ამერიკაში დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან. ადამიანები განსაკუთრებით აფასებენ და ხაზს უსვამენ მათ ცხოვრებაში დედის აუცილებლობას და მადლობას უხდიან მათ უანგარო, უპირობო სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის. ეს დღე შობისა და ვალენტინობის შემდეგ, ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. ამ დროს სატელეფონო ხაზები გადატვირთულია, საბარათე გაყიდვები პიკს აღწევს და რესტორნები სრული დატვირთვით მუშაობენ. დედის დღის ტრადიციები ძირითადად მოიცავს საუზმის მირთმევას საწოლში, ყვავილების თაიგულს, ღია ბარათებს ან საჩუქარს და ვახშამზე დაპატიჟებას.

დიდ ბრიტანეთში დედის დღის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს და ის აღინიშნება სააღდგომო მარხვის მეოთხე კვირას, გამომდინარე აქედან, მისი თარიღი მუდმივად ცვალებადია. მას მე-17 საუკუნიდან აღნიშნავენ და დედის კვირეულს უწოდებენ. ინგლისიც ფაქტიურად ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც გამოყო წელიწადში ერთი დღე დედის დღის აღსანიშნავად. ბრიტანეთში შემორჩენილია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც დედებისთვის ნუშის ნამცხვარს ამზადებენ და მას „mothering cake“ (დედის ნამცხვარს) უწოდებენ. იაპონიაში დედის დღის დაწესებას პირველად 1931 წელს შეეცადნენ. მაშინ იყო სურვილი, რომ ეს დღე დამთხვეოდა იმპერატორის იუბილეს. ტრადიცია არ გაგრძელდა. ახლა იაპონიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში, დედებს ყვავილებს ჩუქნიან მაისის თვის პირველ კვირა დღეს.

გერმანიაში ამ დღესასწაულს საფუძველი 1923 წელს ჩაეყარა, ხოლო როგორც სახელმწიფო დღესასწაული, აღინიშნება 1933 წლიდან. მას საფუძველი ფლორისტების გაერთიანებამ ჩაუყარა. მისი მიზანი იყო, პატივი ეცათ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე დედებისთვის. გერმანელები ე.წ. „Muttertag-ს“, დედის დღეს წელიწადში ერთხელ, მაისის მეორე კვირას, ზეიმობენ.

საფრანგეთში დედის დღეს მაისის ბოლო კვირა დღეს აღნიშნავენ. ტრადიციულად, ამ დღეს ოჯახში იმართება ოჯახური სადილი, ხოლო დედები საჩუქრად ყვავილების თაიგულის ფორმის ნამცხვარს იღებენ. დედის განსაკუთრებული როლის შესახებ საუბარი და პატივისცემა საფრანგეთში ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტის ეპოქიდან მოდის, ხოლო 1950 წლიდან დედის დღე- La Fete de Meres ოფიციალურად დაწესდა.

ავსტრალიაში დედის დღე ამერიკის მსგავსად მაისის მეორე კვირა დღეს აღინიშნება, ტრადიციებითაც ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მსგავსად აღნიშნავენ ამ დღეს. არსებობს დედის დღის მილოცვის ტრადიცია მიხაკებით (ისევე როგორც აშშ-ში). დედებს დღესასწაულს ფერადი მიხაკებით ულოცავენ, თეთრი მიხაკები კი გარდაცვლილი დედებისთვის პატივის მისაგებად გამოიყენება. გარდა საკუთარი დედებისა, ბავშვები პატივს სცემენ მათ ბებიებსა და სხვა ქალბატონებსაც, რომლებიც მათ დედებივით უვლიან და ზრუნავენ მათზე.

კანადაშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში, დედის დღის მისალოცად ყველაზე ხშირად ღია ბარათებს, ყვავილებს და საჩუქრებს იყენებენ. იგი შობისა და ვალენტინობის შემდეგ სიდიდით მესამე დღესასწაულად მიიჩნევა. აღინიშნება მაისში ამერიკის და ავსტრალიის მსგავსად და ატარებს ძალიან დიდ ემოციურ დატვირთვას საზოგადოებაში. ასევე მაისში ბრაზილიაში ყოველწლიურად აღინიშნება დედათა დღე- Dia das Mães. ბრაზილიაში ოჯახების დიდ ნაწილში სამზე მეტი ბავშვია, ამიტომაც მარტივი წარმოსადგენია, როგორ მასშტაბურად და ემოციურად აღინიშნება ეს დღე. ტრადიციულად ამ დღესასწაულზე ოჯახის წევრები ერთად იკრიბებიან, სკოლებში კი საგანგებოდ ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იმართება.

„ია-ია დაგიკრიფე, ლურჯთვალა და კოპწია. დედის დღე და გაზაფხული ერთად მომილოცია“...

ნუნუ კერესელიძის ეს საბავშვო ლექსი შთამბეჭდავად გადმოსცემს და გამოხატავს საქართველოში დედისა და მისი დღის აღნიშვნისადმი ჩვენს ისტორიულ დამოკიდებულებასა და ერთგვარ ეთნოფსიქოლოგიას. ფაქტია, საქართველო ამ დღეს, გამოზამთრების შემდგომ, სიცოცხლის განახლების პერიოდის – გაზაფხულის მესამე, გარკვეულწილად სიმბოლურ დღეს აღნიშნავს, ულოცავს და უძღვნის ყველას და უპირველესად, საქართველოში მაცხოვრებელ და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ დედებს.

„თერჯოლა“

საჩუქარი

ანზორ აბულაშვილი

ეს გაზაფხულიც მოვიდა
და შემოგვცინა მარტმა,
მეცა მყავს დედა ლამაზი,
მეცა მაქვს ერთი ნატვრა.
რვა მარტს საჩუქრის გარეშე
რაღა ფასი აქვს, აბა?
ზოგი თუ ყვავილს დაეძებს,
ზოგი ყიდულობს კაბას.
მე კი სხვას ვნატრობ ამ დილას,
სხვა საჩუქარი მინდა,
რადგან ერთია დედისთვის -
კარგიც, ლამაზიც, წმინდაც
ვიყო, როგორიც დედას სურს,
ჩემი იმედი ჰქონდეს!
სხვა საჩუქარი რა არის,
ამ საჩუქარს რომ სჯობდეს!

დედა

მარიამ წიკლაური

თუ გინდა, რომ არასოდეს
არ დაბერდეს დედა,
გაუღიმე, მიეფერე,
როცა დაღლილს ხედავ,
დედის გული შენზე
ფიქრით,
ლოცვითაა სავსე.
თუ რაიმე გაგიჭირდა,
დედას უხმობ წამსვე.
უღალატო, უანგარო,
გიერთგულებს მარად,
თითქოს ყოფნას
გიმსუბუქებს,
გაფრენს ჩიტის დარად.
ქვეყნად დედის გულის
მსგავსი
ვერაფერი ნახო,
მხოლოდ კარგი იყავი რომ,
მადლი დაუფასო.
თუ გინდა, რომ არასოდეს
არ დაბერდეს დედა,
გაუღიმე, მიეფერე,
როცა დაღლილს ხედავ.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872